პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
ოთხშაბათი
22 ივლისი
№ 169 (18111)
ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი

საქართველოს სსრ კომუნისტებსა და კომკავშირელებს, მეცნიერებსა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს, ყველა მშრომელს

საკპკ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ქ. თბილისში გამართულ დღესასწაულზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის წინაშე დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, ჩვენი ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სულიერი ცხოვრების გამდიდრებას.

ამ ამოცანების გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული მეცნიერების შემდგომ განვითარებაზე და სახალხო მეურნეობაში მისი მიღწევების დანერგვაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს განზრახული აქვს თავისი მორიგი პლენუმი მიუძღვნას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იმ ამოცანების განხილვას, რომლებიც ეხება მეცნიერებისადმი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის სრულყოფას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვას. ამ პლენუმმა დასაბამი უნდა მისცეს მეცნიერებისა და ტექნიკის პრობლემებისაკენ ძირეულ შემობრუნებას, განსაზღვროს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის განვითარების მთავარი მიმართულებანი, განიხილოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, მათი სამეცნიერო კოორდინაციის გაუმჯობესების, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის ყოველმხრივი გაფართოებისა და განმტკიცების საკითხები. პლენუმზე პარტიული სჯაბაასი გაიმართება მეცნიერების მართვის სრულყოფის, აგრეთვე მეცნიერული შრომის ხარისხისათვის სწავლულთა პასუხისმგებლობის, მათი მეცადინეობის კონცენტრაციის შესახებ, რაც დაჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნიკის მთავარი, გადამწყვეტი მიმართულებებით. პლენუმი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ყოველ კოლექტივში მეცნიერული ზრდისათვის ნამდვილად შემოქმედებითი ვითარებისა და სასიკეთო პირობების შექმნას. მისი ყურადღების ცენტრში იქნება საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკის განვითარების, სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის პრობლემების კვლევის დონის განუხრელი ამაღლების საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, სთხოვს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროების, საწარმოო-ტექნიკური გაერთიანებების კოლექტივებს, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოებს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მხცოვან მეცნიერებსა და მათს ახალგაზრდა კოლეგებს, სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, კომუნისტებსა და კომკავშირელებს, მშრომელებს მონაწილეობა მიიღონ ამ პლენუმის სამზადისში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სწამს, რომ რესპუბლიკის მეცნიერები და სპეციალისტები, კომუნისტები, მშრომელები, როგორც ყოველთვის გამოთქვამენ თავიანთ წინადადებებს, სურვილებს, კრიტიკულ შენიშვნებს მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების, მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის გზების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობა

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის შეხვედრა ამომრჩევლებთან

საზეიმო და ამასთანავე საქმიანი, საბჭოთა საქართველოს, ყოველი მისი რეგიონის შემდგომი აყვავებისათვის უდიდესი ზრახვით გამსჭვალული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ აბმროსის ძე შევარდნაძის შეხვედრა ამომრჩევლებთან. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ კლუბში გამართული ეს შეხვედრა გახდა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ამაღელვებელი დემონსტრაცია, გამარჯვებული სოციალისტური დემოკრატიის მკაფიო გამოვლინება, მაგალითი, თავისებური ანგარიში იმისა, თუ რა გავაკეთეთ რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში, რა უნდა გავაკეთოთ კომუნისტურ აღმშენებლობაში ახალი წარმატებების მოპოვებისათვის.

შეხვედრა გახსნა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თ. თოდუამ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის ამომრჩევლებს უამბო იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც საქართველოს პარტიული ორგანიზაცია და მშრომელები ეწევიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა განსახორციელებლად. სწრაფი ტემპით ვითარდება რესპუბლიკის ყველა რეგიონი. წარმატებით შენდება და ფართოვდება სამრეწველო ობიექტები, მიმდინარეობს მძლავრი ინდუსტრიული ბაზის ფორმირება, შეიმჩნევა მუშებისა და კოლმეურნეების შრომის ნაყოფიერების სტაბილური ზრდის ტენდენცია, გაიზარდა შემოქმედებითი ინტელიგენციის აქტიურობა, შრომითს კრლექტივებში გაუმჯობესდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ნიადაგ მტკიცდება და ვითარდება ხალხთა ლენინური მეგობრობა.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის მე-60 წლისთავის ზეიმი რესპუბლიკის მშრომელებისათვის გახდა პასუხსაგები დათვალიერება მისი პოტენციური შესაძლებლობებისა ეკონომიკის და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ჩვენი დღესასწაულის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საპატიო სტუმრის — ლენინად ილიას ძე ბრეჟნევის ბრძნული რჩევა-დარიგება და მითითებები, სურვილები აღვიქვით როგორც ოთხმოციანი წლებისა და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივის სამოქმედო პროგრამა.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ამომრჩევლებს გააცნო ეკონომიკის განვითარების გზები, დაწვრილებით შეეხო იმ უპირველეს ამოცანებს, რომელთა გადაჭრა საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ ქვეყანაში ყველაზე მოწინავე პოზიციებს, კიდევ უფრო გავზარდოთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი.

სასიკეთო, სასარგებლო რჩევა-დარიგებად გაისმა სიტყვები იმის შესახებ, რომ თითოეულმა მუშამ, თითოეულმა კოლმეურნემ, თითოეულმა სპეციალისტმა კარგად უნდა იცოდეს საქმის ვითარება თავის დარგში, მისი რეზერვები და შესაძლებლობები, შეისწავლოს მოწინავეთა გამოცდილება, მხარს უსწორებდეს მათ. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დადებითად შეაფასა ზუგდიდში ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის მიმდინარეობა, სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დარგების შექმნა, და დასახა საყურადღებო რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ეკონომიკის შემდგომი განვითარება და სოციალურ-კულტურული დონის ამაღლება.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ საჭიროა გამოიძებნოს დამატებითი რეზერვები კოლხეთის ყამირი მიწების დაჩქარებული ათვისებისათვის, შეიქმნას ამ საფუძველზე მტკიცე საკვები ბაზა და მეცხოველეობის ახალი კომპლექსები. აღინიშნა აგრეთვე, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობასთან კოოპერირების შემდგომ განვითარებას, რაც გაზრდის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას, განისაზღვრა რაიონში მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის აღმავლობის კონკრეტული გზები, სერიოზული, პრინციპული სჯა-ბაასის საგანი გახდა კადრების საკითხი, ითქვა, რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ნეგატიური მოვლენების დაძლევისათვის, დღეგინდადგ გავაძლიეროთ პოლიტიკური სიფხიზლე, ყოველმხრივ განვამტკიცოთ შრომის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინა.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ რაიონის მშრომელებს, რუხის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს მოუწოდა მთელი ძალღონე მოახმარონ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას, უსურვა შერკინილთ ახალი წარმატებები შრომასა და პირად ცხოვრებაში.

შეხვედრაზე გამოსულმა ამომრჩევლმა ილაპარაკეს რაიონის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, აქაური მშრომელთა ცხოვრების ძირეული გარდაქმნების შესახებ, რაც განპირობებულია კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკის თანამმდევრული განხორციელებით. მათ თავიანთ დეპუტატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვეს, რომ ძალ-ღონეს და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა პირნათლად შეასრულონ ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმების გადაწყვეტილებანი, ხორცი შეასხან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში დასახულ რჩევა-დარიგებებსა და მითითებებს, ყველაფერს იღონებენ, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი. (საქინფორმი).

დღის წესრიგშია ხარისხი!

● სირთულეთა დაძლევით

რუსთავის სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა დაძლია ჩამორჩენა და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით 350 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, ყველაფერ ამას კი ხელი შეუწყო საწარმოს რეკონსტრუქციამ, რომელიც კომბინატის საკუთარი ძალებით განხორციელდა. საცხოვრებელი სახლების ტიპობრივ პროექტებში შეტანილია მცირე არქიტექტურული ცვლილებები, რის შედეგადაც მათი ფასადები გაცილებით ლამაზი და მიმზიდველი გახდა.

(„კომუნისტის“ კორ.).

● იხვეწება ტექნოლოგიური პროცესები

ბიათურა. გასულ, მეათე ხუთწლედში სამთამადნო კომბინატის კოლექტივმა მტკიცე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შექმნა ახალი მიჯნების დასაძლევად და შედეგსაც აღწევს. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო დავალება გადაჭარბებით შესრულდა. მეტალურგიულ ქარხნებს გეგმის გადამეტებით 25 ათასი ტონა მანგანუმი გაეგზავნათ.

ახლა კომბინატის საწარმოებში ხორციელდება ორგანიზაციულ - ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამოცდაექვს წლის მეორე ნახევარში უფრო დამაჯერებელ შედეგებს მიაღწიონ.

(ხაკ. კორ.).

● წინ მეგარიტელები არიან

ონი. რაიონის სამრეწველო საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას ინარჩუნებს ჩორდის ბარიტის მაღაროთასამართველოს (უფროსი კ. ჩიკვილაძე) კოლექტივი.

მეგარიტელებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად ჯაზარდეს ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი. წლიური ვალდებულებით ნაკისრი 120 ტონა ზეგეგმითი ბარიტის კონცენტრატის ნაცვლად გამოშვებულია 310 ტონა ქიმიური ნედლეული.

დიდი ყურადღება ექცევა უმაღლესი ხარისხის ბარიტის კონცენტრატის გამოშვებას.

(ხაკ. კორ.).

● ჩაი საექსპორტოდ

ხელვაჩაური. რესპუბლიკაში ჩაის გაცხოველებული სეზონია და მრეწველობის მუშაკებს ახლა განსაკუთრებით თავდადებით უხდებათ შრომა.

მოზღვავებული ნედლეულის დროულად გადასამუშავებლად რაიონის ჩაის ფაბრიკების გაერთიანებამ ურეკისა და ხელვაჩაურის ფაბრიკებში ახალი ნაკადური ხაზი დადგა, რის შედეგადაც მათი მწარმოებლობა დღეღამეში 12-15 პროცენტით გაიზარდა.

რაიონში მოკრეფილი ჩაის დიდი რაოდენობა საზღვარგარეთ გადის. იგი უკვე გაიგზავნა მოძმე პოლონეთსა და უნგრეთში.

(ხაკ. კორ.).

● ვინ იმარჯვა ქოგულეთში

„საქმთავარენერგოს“ ბათუმის ელექტროქსელების „ფიქვნარის“ სასწავლო-სამეცადინო პოლიგონზე მოეწყო „საქმთავარენერგოს“ გამანაწილებელი ქსელების ელექტრომონტიორთა ბრიგადების მერვე რესპუბლიკური შეჯიბრება-დათვალიერება.

გაიმარჯვეს ბათუმის, გორისა და ცხაკაიას ელექტროქსელების ბრიგადებმა.

შეჯიბრებამ გამოავლინა საქმის საუკეთესო ოსტატები თ. გენძეხაძე, გ. კარიაული (ორივე — ქუთაისი) და მახარაძელი მ. კუტუბიძე.

ი. ხოფერია,
საქმთავარენერგოს უსაფრთხოების ტექნიკის სამსახურის უფროსი.

რეპორტაჟი მოვლენის ადგილიდან

19 ივლისს ასპინძის რაიონის სოფელ ოშორის კოლმეურნეთა საერთო კრებამ ერთხმულად მისცა ხმა კოლმეურნეობაში ახალი წევრების მიღებას. ესენი არიან ხულოს რაიონის 82 მცხოვრები, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი არსიანის ქედის დასავლეთის განტოტებიდან თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობებზე გადასახლებულიყვნენ.

მთიანი აჭარის მცხოვრებნი ადგილის გამოცვლის სურვილმა როდი მიიყვანა ასეთ გადაწყვეტილებამდე. ამის მიზეზი ცხოვრების მკაცრი სიმართლე იყო. მშობლიურ მთებზე შეყვარებულ მთიელებს ვერც ერთი სამუშაო დღე ვერ წარმოუდგენიათ აღმართ-დამმართების გარეშე. მათ თითქმის ნორმად მიაჩნიათ თოკით ჩამოკიდებულებს პლანტაციებში მუშაობა. მათი სახლები მიმოფანტულია ფრიალო კლდეებით შემოჯარულ ხეობებში და ძალიან უჭირთ მიწა. ხულოს რაიონის 73 საკოლმეურნეო სოფელში 2.100 ჰექტარზე ოდნავ მეტი სახნავია, აქედან საკარმიდამო ფონდის წილად მოდის ათას ექვსასი ჰექტარი. აქაური ოჯახებში ოთხი-ხუთი და მეტი შვილი ჩვეულებრივი მოვლენაა. ბიჭები ვაჟკაცდებიან, ოჯახებს ქმნიან, გამოეყოფიან მშობლებს, და მათაც მიწა სჭირდებათ სახლების ასაშენებლად და დამხმარე მეურნეობისათვის. მაგრამ ერთი გოჯი თავისუფალი მიწა არ არის... მამას გაუყავითო, ეუბნებიან მათ. მაგრამ მამას მიწას როგორ გაუყოფ, როცა მას მხოლოდ თხუთმეტი მეასედი აქვს! თანაც, თუ მესამე ვაჟი ხარ? პრობლემაა თუ არა? დიახ, პრობლემაა, თანაც როგორი!

გახსოვთ, ალბათ, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე წაიკითხეს ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის თამარ ყუფუნიას წერილი. სხვათა შორის, იმავე დღეს, როცა ხულელებს კოლმეურნეობაში იღებდნენ, თამარ ყუფუნიას სოფელში მისი დაბადების დღეს იხდიდნენ. და აი, იმ წერილში არის ასეთი სტრიქონები: „არც ერთი სოფელი — იქნება კოლმეურნე თუ მოსამსახურე — არ უნდა დარჩეს უბოსტნოდ, უპირუტყვოდ და უფრინველოდ. ამაზე ღირს ჩაფიქრება“.

მართლაც რომ, ღირს. არც ერთი მტკავალი ქართველი მიწა ცარიელი არ უნდა იყოს. ავაყვავოთ გაუკაცრიელებული ველები, მთიელები მთას დავუბრუნოთ, ადამიანები პროპორციულად გავანაწილოთ არსებული სამეურნეო შესაძლებლობების მიხედვით — რა მრავალფეროვანი, შეგნებული, გეგმაზომიერია ჩვენი პარტიის, მთავრობის საქმიანობა ამ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტისათვის!

ახალი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა „სამთაწყარო“ სამთაგან ერთი მეურნეობაა, რომელიც იქმნება ოდესღაც უწყლო შირაქის ველზე და მისი პირველმოსახლენი მთის რაიონებიდან ჩამოსულები არიან: მკვდრეთით აღმდგარი გურჯაანის რაიონის სოფელი ჭერემი და კასპის რაიონის სოფელი გოსტიბე და იქ დაბრუნებული მეხოვრენი, ყოფილ უდანაზონი მშენებარე საბჭოთა მეურნეობის დასახლება და რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მისი ახალმოსახლენი... და აი, დღეს ჩვენ, საქინფორმის რეპორტიორები, ვესწრებით მოვლენას, რომლითაც დასრულდა სოფლის მოსახლეობის ორგანიზებული შინამიგრაცია. წინა დღით ზღვიდან მაღლა მთაში ამოვედით, რათა დილაადრიან ხულოს რაიონიდან მომავალ მოსახლეობასთან ერთად გაგვეარა 108 კილომეტრი გზა გოდერძის უღელტეხილით მესხეთამდე, მტკვრის ხეობამდე.

გოდერძის უღელტეხილი... 2.025 მეტრზე მდებარე გზა წელიწადში ხუთი თვის მანძილზე თოვლის სქელი ფენით არის დაფარული, და ეს ბუნებრივი დაბრკოლება მცირემიწიან ხულელთა და შუახეველთათვის ფსიქოლოგიური დაბრკოლებაც იყო. აბა, წარმოიდგინეთ, რაოდენ ძნელია ნათესავებსა და ახლობლებს იყო მოწყვეტილი, რადგან ძნელია ზამთრობით დათოვლილი უღელტეხილის გადალახვა.

აქ საჭიროა განმარტება. შრომის სახელმწიფოო კომიტეტის პირობების თანახმად, ყოველ გადასახლებულ ოჯახში უნდა იყოს სულ ცოტა ორი შრომისუნარიანი წევრი (გადასახლებაც ხომ სწორედ იმიტომ ხდება, რომ ოჯახმა ღრმად გაიდგას ფესვი ახალ ადგილას), ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით კი საკოლმეურნეო კომლში, რომელსაც მიგრანტები ტოვებენ, უნდა დარჩეს სულ ცოტა ორი მოზრდილი და ორი ბავშვი (რაიონის შრომითი რესურსები არ უნდა დაიშრიტოს). ვაჟი ცოლითურთ გამოეყოფა დედ-მამას, დაი ქმრითურთ — ძმებს, ჯერ კიდევ ჭარმაგი მამა უმცროსი ვაჟითურთ — უფროს ვაჟებს...

ძნელია... მაგრამ სხვაგვარად აღარ შეიძლება. და აი, მიღებულია გადაწყვეტილება ასპინძა-ხულოს სპეციალური საავტობუსო მიმოსვლის გახსნის შესახებ. მაგრამ ზამთარში რაღა ქნან? არის სატელეფონო კავშირი და გზა, რომელსაც მთების აქცევით, ხაშურის გაელით ერთ დღე-ღამეზე მეტ ხანს არ მოუნდები.

ამჯერად კი ორი ავტობუსით მივდივართ გოდერძის უღელტეხილისაკენ ხეობის დაკლაკნილი გზით. ორი „პაზით“ მარტო ის ოცდათორმეტი კაცი კი არ მიემგზავრება, რომლებმაც ანკეტა-განცხადებანი შეავსეს, არამედ აქვე არიან მათი ახლობლები, ნაცნობები, თანასოფლელები, რათა ნახონ, იქ რა არის. მთიანი აჭარის სოფლებში ხომ ორასამდე ოჯახი ელის ცნობებს.

გზა სასაუბროდ განაწყობს კაცს. ერთმანეთს ვეცნობით. ჯემალ მიქელაძე 20 წლის ჭაბუკია, რომელიც მაისში დემობილიზაციით ჩამოვიდა. ხალისიანი ყმაწვილი ჩანს, იღიმება.

— რა სპეციალობა შეიძინე ჯარში?

— მძღოლისა, მეორე კლასის შოფერი ვარ...

— მაშ, ალბათ, კოლმეურნეობაში შოფრად იმუშავებ. შენთან ერთად ვინ მოდის?

— და-ძმა, აი ისინიც — კოტე უკვე თექვსმეტი წლისაა, მანანა კი მეხუთე კლასში ისწავლის.

— ოშორაში სკოლა არის?

— როგორ არა, გავიგე, ათწლედი ყოფილა.

შინ, ყველაზე მაღალი მთის სოფელ დანიასაარაულში, რომლის განაპირა სახლებს გარს აკრავს ალპური მდელოები, ჯემალს მშობლები, ორი უმცროსი ძმა და ორი და დარჩა. მეგლუდ მიქელაძის საკარმიდამო ნაკვეთი 1800 კვადრატული მეტრია. აბა, ოთხ ვაჟი მეგლის როგორ გაუყოფ.

ჩვენი ავტობუსით მოდის ოსმან ბაქსაძე. იგი 63 წლისაა. მასთან ერთად მოდიან ვაჟი მიხეილი, რძალი და ორი შვილიშვილი. შინ, მშობლიურ სოფელში დარჩა უფროსი ვაჟი სელმანი ცოლ-შვილით.

კიდევ ერთი გაცნობა. ჩემი თანამოსაუბრეების თანასოფელელი, მესაქონლე ბაქრო პაპიძე. მას მკერდზე უკიაფებს „მეათე ხუთწლედის დამკვრელის“ ნიშანი.

— რაიონულ შეკრებაზე გადმომცეს, — ამაყად გვითხრა მან, როცა ჩემი ყურადღებიანი გამოხედვა შენიშნა. — ახლ ადგილას ჩემთან ერთად მოდიან ცოლი აინური, იგი მწველავია, ერთ-ერთი საუკეთესოა კოლმეურნეობაში და ვაჟი ნუგზარი, რომელიც მეთხუთმეტე წელში გადადგა. შინ დარჩნენ უფროსი ვაჟი რეზო და რძალი მედიკო, მათი სამი წლის გოგონა ირმა. რა თქმა უნდა, ძალიან მოგვენატრება პატარა, მაგრამ რა ვუყოთ? ორი ოჯახი ერთ საკარმიდამო ნაკვეთზე, სადაც მხოლოდ კარტოფილი და სიმინდი ხარობს, ბევრია. ოშორაში კი ხილსაც მოვიყვანთ და ყურძენსაც, რა თქმა უნდა, ფერმაშიც ვიმუშავებთ.

სოფელ ოშორის კოლმეურნეობაში შრომისმოყვარე შაქრო პაპიძე და მისი თანასოფელელები მიიღებენ ნახევარ-ნახევარ ჰექტარ შეესინიშნავ მიწას ღელის ნაპირას. სახლის ასაშენებლად და მეურნეობის შესაქმნელად სესხად მიიღებენ 4.500 მანეთს, რომლის დაფარვასაც დაიწყებენ ფულის მიღებიდან ექვსი წლის შემდეგ და თხუთმეტ წელიწადში უნდა გაისტუმრონ. რაიკომკავშირს უკვე შეაქვს სახლების ასაგებად სამენი მასალა, რომელიც მთავრობამ რაიონს ფონდის გადამეტებით ვიყიდეთ. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ოჯახი მიიღებს დახმარებას: 100 მანეთს ოჯახის უფროსისათვის და 35-35 მანეთს — დანარჩენი წევრებისათვის. „ასეთი პირობებით, — დასძინა ხულოს სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს მთავარმა აგრონომმა არჩილ კამალაძემ, — ბევრი მოისურვებს ოშორაში გადასვლას“.

ოშორა, ოშორა... რა ხშირად ვახსენებთ ამ სოფელს გზაში საუბრის დროს! და აი, ისიც, მაღლიანი ოშორა, რომელიც ამიერიდან გადმოსახლებულ აჭარელთათვის მშობლიური კერა გახდება.

— სოფელ ოშორის კოლმეურნეობას 209 ჰექტარი სახნავი, 1.090 ჰექტარი საძოვარი, 22 ჰექტარი მრავალწლოვანი ნარგაევები აქვს. ჰყავს 400 სული საქონელი, 9 ათასი ცხვარი.

შარშან მეურნეობამ 9 ათასი მანეთი იზარალა. აქ 104 საკოლმეურნეო კომლია. არის საკარმიდამო ნაკვეთების თავისუფალი ფონდი — მოგვაწოდა ცნობა კოლმეურნეობის ბრიგადირმა იაკობ დათაშვილმა.

— ჩვენი რაიონისათვის ტიპიური მეურნეობაა, — გვითხრა ასპინძის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ გ. წითლანაძემ. — მუშახელი გვაკლია. თვითონ განსაჯეთ: 825 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე ჩვენთან 11.500 კაცი ცხოვრობს. აბა შეადარეთ: ხულოს რაიონში, რომელსაც 683 კვადრატული კილომეტრი უკავია, ცხოვრობს დაახლოებით 40 ათასი კაცი, ძალიან გვჭირდება ხალხი.

გ. წითლანაძე გვიზიარებს აზრს ყოველივე ამის შესახებ, თან ყურს უგდებს ახალმოსახლეთა პატივისაცემად გამართულ იმპრომპტიზებულ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვებს. ვაშლის ხეთა ჩრდილში, მოსასალმებელი ტრანსპარანტების ქვეშ გაისმის გულიდან ამომდგარი სიტყვები. პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. პატიაშვილმა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა, ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ბ. შაინიძემ და სხვებმა აღნიშნეს, თუ რა დიდ იმედს ამყარებენ აქ აჭარიდან ჩამოსულ სტუმრებზე. დიახ, ჯერჯერობით ისინი სტუმრები არიან, მაგრამ რამდენიმე. წუთის შემდეგ, როცა ოშორელები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კოლმეურნეობაში ახალ წევრთა მიღებას, ისინი ამ ნაყოფიერი ველის ბატონ-პატრონები გახდებიან. დღესასწაულის დროს გზაზე მდგარი მანქანების მწკრივს ავტობუსი მიუახლოვდა. ამ ავტობუსით შუახევის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ბერიძემ რაიონის მცხოვრებთა ჯგუფი ჩამოიყვანა. მათ ასპინძის მიწის ახლო გაცნობა, მისი ხელით შეხება მოსურვებიათ.

ე. ვოროგბეიჩიკი,
საქინფორმის სპეც. კორ.
ხულო-ასპინძა.

სურათზე: აქ დაიჭესელება ოშორის ახალი ქუჩები.

ა. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს სტანისლავ კანიას, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ჰენრიკ იაბლონსკის და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვოიციეხ იარუზელსკის მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 37-ე წლისთავის გამო.

დეპეშაში ნათქვამია:

„საბჭოთა და პოლონელი ხალხების გამარჯვება მეორე მსოფლიო ომის წლებში საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში პოლონეთის ეროვნული აღორძინების მძლავრი ფაქტორი გახდა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით პოლონელმა ხალხმა საბჭოთა კავშირთან და სხვა მოძმე ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით დაძლია მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგები და მტკიცედ დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას, რომელმაც სახალხო პოლონეთს მშრომელთა ინტერესების შესაბამისად ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ფართო შესაძლებლობანი დაუსახა.

სოციალიზმმა პოლონეთის სახელმწიფოს მოუტანა ნამდვილი დამოუკიდებლობა და საზღვრების შეუვალობის მტკიცე გარანტია.

ამ წელს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს — პოლონეთის აღორძინების დღეს ხვდებიან რთულ პოლიტიკურ ვითარებაში. სოციალიზმის მოწინააღმდეგენი ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ძირს უთხრიან და უტევენ პოლონეთის სახელმწიფოს და საზოგადოების საფუძვლებს, პროვოკაციულად იწვევენ გართულებებს პოლონეთის ურთიერთობაში მის ჭეშმარიტ მეგობრებთან. მაგრამ ეს გეგმები ჩაეშლებათ.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX საგანგებო ყრილობამ დასახა ქვეყანაში შექმნილი ვითარების სტაბილიზაციის, კრიზისული სიტუაციიდან მისი გამოყვანის ამოცანა.

პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, როგორც პოლონეთის სიზოგადოების ხელმძღვანელ ძალას, რომელიც მტკიცედ მისდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, უდავოდ ძალუძს დარაზმოს ყველა მშრომელი, შეაკავშიროს ისინი ანარქიისა და კონტრრევოლუციისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად, სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული აღმშენებლობითი შრომისათვის.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას როგორც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანას და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრს მტკიცედ შეუძლია იქონიოს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მხარდაჭერის იმედი“. (საკდესი).

სკკპ დელეგაცია დაბრუნდა

დღეს ვარშავიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. გრიშინის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX საგანგებო ყრილობის მუშაობაში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობა დამთავრდა

ვარშავა. 20 ივლისს პოლონეთის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX საგანგებო ყრილობამ. წინა დღით დამთავრდა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების განხილვა. გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს არჩევნები. არჩეულია პოლიტბიუროო 15 წევრის და ორი წევრობის კანდიდატის შემადგენლობით, აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 7 მდივანი. დაამტკიცეს ცენტრალური სარევიზიო კომისიისა და პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარენი.

ამავე დღეს პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. იარუზელკიმ.

მთავრობა, თქვა ვ. იარუზელსკიმ, აქტიურად შეუდგა ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების შესრულებას. იგი გულდასმით განიხილავს ყრილობაზე გამართული კამათის დროს წამოყენებულ ყველა წინადადებასა და მოთხოვნას, კრიტიკულად გააანალიზებს მისი მისამართით გამოთქმულ მოსაზრებებსა და შენიშვნებს, შეძლებისდაგვარად მალე გამოიტანს პრაქტიკულ დასკვნებს.

ორატორმა აღნიშნა, რომ სახალხო პოლონეთის ისტორიაში პირველად არის ეკონომიკური რეგრესი, რომელიც უკანასკნელი სამი წელია გრძელდება. გაანგარიშებების თანახმად, მიმდინარე წელს ეროვნული შემოსავალი 15 პროცენტით შემცირდება. მშვიდობიან პირობებში ესოდენ დიდი დაქვეითება ფრიად იშვიათი მოვლენაა მსოფლიო პრაქტიკაში.

ამის შედეგად ბაზარზე სულ უფრო მეტად იგრძნობა საქონლის ნაკლებობა, ძლიერდება სპეკულაცია, ძვირდება ცხოვრება, გაბზარდა პანაკა და საკმარის წინასწარ შესყიდვა-მომარაგება.

ამასთანავე მატულობს პოლონეთის დავალიანება. იძულებული ვართ ყოველივე ამას შეეურიგდეთ, რათა უზრუნველვყოთ სურსათის, მარცვლეულის, საკვების, აგრეთვე ყველაზე აუცილებელი ნედლეულისა და მასალის იმპორტი იმ დროს, როცა მკვეთრად იკლო ექსპორტმა. მარტო კაპიტალისტური ქვეყნებისადმი დავალიანება მიმდინარე წელს დაახლოებით 3 მილიარდი დოლარით გაიზრდება. ეს დაგვაკისრებს კრედიტების დამატებითი გადახდისა და უაღრესად დიდი სარგებლის ტვირთს, და, მაშასადამე, კიდევ უფრო გააუარესებს პოლონეთის გადახდის უნარს.

სიტუაციის არასახარბიელო განვითარება, განაგრძო ვ. იარუზელსკიმ, მთავრობისაგან მოითხოვდა და მოითხოვს ბევრი საგანგებო ღონისძიების დაუყოვნებლივ განხორციელებას.

ამჟამად მთავარი, ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა წარმოებაში დაქვეითების ტენდენციის დაძლევა, მერე კი მის აღდგენაზე გადასვლა. მხოლოდ წარმოების ზრდა, ეროვნული შემოსავლის ზრდა იქნება ამჟამად დამდგარი სიძნელეების დაძლევის ამოსავალი წერტილი და საფუძველი, ზაზი გაუსვა ორატორმა.

როგორც ვ. იარუზელსკიმ აღნიშნა, ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში პრიორიტეტი ენიჭება სოფლის მეურნეობას. მთავრობა აგრეთვე მტკიცედ მოითხოვს სამეურნეო ადმინისტრაციისაგან შესასრულოს ამოცანები, რომელთა მიზანია წარმოების გადაყვანა უპირატესად სასოფლო-სამეურნეო რელსებზე.

ახლანდელი ჩიხიდან თავის დასაღწევად, ეკონომიკური პროცესების ფორმირებაში მანევრირების მეტი თავისუფლების მოსაპოვებლად, თქვა შემდეგ ორატორმა, საჭიროა გავზარდოთ ექსპორტი. ექსპორტის დაბალი დონე იწვევს იმას, რომ არ გვყოფნის სახსრები იმპორტისათვის. ეს კი, თავის მხრივ, არ გვაძლევს შესაძლებლობას სათანადოდ მოვამარაგოთ საწარმოები და იწვევს პროდუქციის წარმოების დაქვეითებას. სწორედ ასეთ მანკიერ მორეკვი მოექცა ჩვენი ეკონომიკა, რომელიც დაღმა მიდის, და პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი საშუალებაა ექსპორტის გადიდება.

ახლანდელმა ძნელბედობამ, ხაზი გაუსვა ვ. იარუზელსკიმ, კიდევ ერთხელ დაგვანახვა, თუ ვინ არის სინამდვილეში ჩვენი მტერი და მოყვარე. ჩვენთვის ესოდენ მძიმე პერიოდში უაღრესად ძვირფასია საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობა, აგრეთვე დახმარება, რომელიც პოლონეთს გაუწიეს საბჭოთა კავშირმა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრმა ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ. კარგად ვიცით, რომ ჩვენი მეგობრებისათვის ამ დახმარების გაწევა იოლი საქმე როდია, მათ ხომ საკუთარი მოთხოვნილებები აქვთ დასაკმაყოფილებელი.

ამ ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალი ფორმა უნდა გაზდეს ჩვენი მრეწველობის თავისუფალ საწარმოო სიმძლავრეების ერთობლივი გამოყენება. ამ საკითხზე უკვე მიღწეულია პირველი მორიგებანი სსრ კავშირთან, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვა პარტნიორებთან. სწორედ ამის მეოხებით შეგძლებთ უზრუნველვყოთ სამუშაოთა ბევრი საწარმო, მეტადრე, ელექტრომაქანათსაშენებელი, მსუბუქი და ქიმიური მრეწველობის საწარმოები.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან დამყარებულ გრძელვადიან ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას მრავალგვარი სარგებლობა მოაქვს. სსრ კავშირთან სავაჭრო გაცვლა ხელს უწყობს ჩვენი სახალხო მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი დარგების სტაბილიზაციას. მას ახასიათებს ჩვენთვის უაღრესად სასიკეთო სასაქონლო სტრუქტურა, უწინარეს ყოვლისა ის, რომ ნედლეულის, მასალისა და სათბობის იმპორტი დიდად სჭარბობს ექსპორტს. სსრ კავშირთან ვაჭრობაში ჩვენთვის ხელსაყრელია ფასების სისტემაც.

კრიზისს, თქვა შემდეგ ორატორმა, თავს ვერ დავაღწევთ, თუ არ განვახორციელეთ ღრმა ეკონომიკური რეფორმები. XI საგანგებო ყრილობის განსახორციელებლად წარმოდგენილია მათი პროექტი, რომელიც ეკონომიკური რეფორმის საკითხთა კომისიამ შეიმუშავა. მისი მომზადების დროს გავითვალისწინეთ როგორც ჩვენი საკუთარი, ისე სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებაც. რეფორმა მუშათა კოლექტივების თვითმმართველობასა და ცენტრალურ დაგეგმვაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ჩვენ ყველა საპირო პირობას შევუქმნით სამეურნეო ორგანიზაციების დამოუკიდებელ საქმიანობას, ჭეშმარიტ თვითმმართველობას. კვლავაც განვამტკიცებთ მეცნიერულ საფუძველზე დამყარებულ ცენტრალურ დაგეგმვას, რაც საზოგადოებრივ-სამეურნეო პრაქტიკაში სოციალიზმის ობიექტური და ეკონომიკური კანონების გამოყენების ინსტრუმენტია.

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ვიმოქმედოთ სწრაფად და თანამიმდევრულად, რათა ხორცი შევასხათ რეფორმის ძირითად დებულებებს. უკვე შევუდექით ცენტრალური სამეურნეო აღმინისტრაციის შორს გამიზნულ რეორგანიზაციას. მომზადებულია საკანონმდებლო აქტების პროექტები, რომლებსაც ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისა და სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის.

შევძლებთ თუ ვერა, ამჯერად დავამტკიცოთ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესაბამისად ჩვენს სისტემას ძალუძს პროგრესული გარდაქმნები, რომ იგი შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარების მოთხოვნებს? საამისოდ გვაქვს სამი დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარი. პირველი წანამძღვარი დაკავშირებულია საზოგადოებრივ მოთხოვნილებასთან, მუშათა კოლექტივებისა და მთელი საზოგადოების განუხრელ მისწრაფებასთან ისე გარდაქმნან საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების მექანიზმები და ორგანიზაციული სტრუქტურები, რომ ისინი შეესაბამებოდნენ ეკონომიკურ და სახელმწიფო ცხოვრებაში მზრომელთა უფრო ფართო მონაწილეობის მოითხოვნილებებს, მათი მეტი პასუხისმგებლობის მოთხოვნილებებს, რომ ქმნიდნენ პირობებს ხალხის შემოქმედებითი ძალების სრული ჩაბმისათვის ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურისა და ცხოვრების სხვა დარგების განვითარებაში, რომ მომავალში აბრკოლებდნენ კრიზისებისა და დეფორმაციების წარმოშობას.

მეორე წანამძღვარი დაკავშირებულია ჩვენი კადრების პოტენციურ უნართან მოამზადონ და განახორციელონ კომპლექსური ეკონომიკური რეფორმა. მესამე წანამძღვარია რეფორმის განხორციელების პოლიტიკური რწმენა და სიმტკიცე, რაც პრაქტიკულად დაადასტურეს პარტიამ და სახელმწიფო ხელმძღვანელობამ.

ორატორმა თქვა, რომ ივნისის მეორე ნახევარში სეიმს გაუგზავნეს კანონპროექტები სახელმწიფო საწარმოსა და მუშათა კოლექტივების თვითმმართველობის შესახებ. ამ რამდენიმე დღის წინათ „სახელმწიფო საწარმოს“ ზოგიერთმა რგოლმა სცადა ჩაეშალა ეს პროექტები.

მთავრობის მიერ შემუშავებული პროექტები გამომდინარეობს იმ ფუნდამენტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრინციპიდან, რომლის თანახმადაც დამოუკიდებელ საწარმოოთათვის მინდობილი წარმოების საშუალებანი წარმოადგენენ საერთო-სახალხო საკუთრებას, მაშინ როდესაც „საზოგადოებრივი პროექტის“ პრინციპით საწარმოს ფონდებს გაანგაბენ უშუალოდ და მხოლოდ და მხოლოდ საწარმო, რომ მას აქვს სრული უფლება ამ ფონდებზე. ასეთი კონცეფციის მიღება არსებითად საერთო-სახალხო საკუთრებიდან ჯგუფობრივ საკუთრებაზე გადასვლა იქნებოდა.

თითქმის ერთი წლის წინათ დაიდო შეთანხმებანი ჯდანსკში, ზჩეკინსა და იასტშემბში. არ შეიძლება არ ვხედავდეთ ძვრებს, მას შემდეგ რომ მოხდა საზოგადოებრივი ურთიერთობაში, ხალხის ცხოვრებაში. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-6 პლენუმის დადგენილებათა შესაბამისად, თანდათან მიმდინარეობს ჩვენი სოციალისტური განაზღება, რომელიც შეუქცევადია.

მაგრამ ყველაფერი როდი ხდება ისე, როგორც ჩვენ გვინდა. გაწვლილი თვეები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სისტემატური გაუარესების პერიოდი გახლდათ. ეს პროცესი გრძელდება და სახიფათოდ ღრმავდება. ყოველივეს წარსულს შეცდომებით ხომ ვერ ავხსნით.

შედარებითი სიმშვიდის რამდენიმე კვირის შემდეგ კვლავ გაჩაღდა კონფლიქტების კერები. სამწუხაროდ, IX ყრილობა უსიამო აკომპანემენტით მიმდინარეობს და ამიტომ არ შეიძლება არ დაისვას კითხვა: ვის აძლევს ეს ხელს? საით მიდიან პოლონელები? ამ კითხვას ვაყენებ უმაღლეს პარტიულ ფორუმზე. ამას ეკითხება საკუთარ თავს თითოეული შეგნებული მოქალაქე. და ამ კითხვის პასუხს დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი დამოკიდებულია მილიონების, პარტიულებისა და უპარტიოების, პროფესიული კავშირების წევრების, ყველა მოქალაქის პოზიციაზე.

სოციალისტურ სახელმწიფოს ძალას ანიჭებს ხალხისადმი სამსახური, პარტიის ხელმძღვანელი როლი, წყობილების დემოკრატიზმი, აგრეთვე წარმომადგენლობითი ორგანოების კონტროლი სახელმწიფო აპარატისადმი.

კანონი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაბოძია. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ იგი უცვლელი უნდა დარჩეს. თუ საჭირო გახდა დადგენილი წესისამებრ იგი უნდა გავაუმჯობესოთ და განვაახლოთ. კანონმდებლობის სრულყოფის პროცესი უნდა განამტკიცებდეს ჩვენი სახელმწიფოს სოციალისტურ საფუძველს, აღკვეთდეს იმას, რაც აფერხებს, აბრკოლებს მოქმედების ეფექტიანობას. მაგრამ არ არის და ვერც იქნება ვერავითარი უკიდურესად უცილობელი დებულება, რომელიც არსებული მართლწესრიგის დარღვევას გაამართლებდა. ეს უკლებლივ ყველას გვეხება. ამიტომ მთავრობა წინააღუდგება ყველას, ვინც ეცდება თვითნებურად გაუდგეს კანონს ან, მით უმეტეს, კანონზე მაღლა დააყენოს თავი.

სახელმწიფო თავის ამოცანებს მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის პირობებში ახორციელებს ნორმალურად. ამას ხელს უწყობს სამოქალაქო მილიციის, უშიშროების, პროკურატურის ორგანოების მუშაკთა, აგრეთვე სასამართლო ორგანოების ისეთი მეცადინეობა, რომელიც ნდობას იმსახურებს. ეს სოციალისტური დემოკრატიის განვითარების უცილობელი პირობაა. დემოკრატიას უდიდეს საფრთხეს უქმნის ანარქია, რომელიც, როგორც სენი, შლის ჯანსაღ უჯრედებს, ფიტავს ორგანიზმს, ძირს უთხრის სახელმწიფოს საფუძვლებს და ემუქრება ხალხის ძირითად ინტერესებს.

ჩვენი ყრილობის მუშაობის დღეებშიც კი, კვლავინდებურად, კიდევ უფრო ცდილობენ გამოიწვიონ არეულობა, ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე; გაისმის ცალკეული მოწოდებები, რომ მოაწყონ გაფიცვები, რომლებიც ძირს უთხრის სახალხო მეურნეობას და ასუსტებს საზოგადოებრივ სტრუქტურებს. დაძაბულობას აწვავებს და კიდევ უფრო ამძაფრებს ვნებათაღელვას საპროტესტო აქციები, ახლანდელი თუ მოსალოდნელი. დგება კითხვა, ვინ იმალება ყოველივე ამის უკან? ვის სწადია კონფრონტაცია თუ ანტისოციალისტური ავანტიურა? ყრილობაზე ბევრმა ორატორმა აღნიშნა, რომ არსებობს ზღვარი, რომლის გადალახვა აღარ შეიძლება. ეს დამღუპველი იქნებოდა ხალხისათვის, სახელმწიფოსათვის. ამას ვერ დაუშვებთ. ეს თითოეული მოქალაქისა და, უწინარეს ყოვლისა, სახალხო ხელისუფლების მოვალეობაა. თუ მდგომარეობამ მოითხოვა, სახალხო ხელისუფლება უზენაესი ინტერესების დასაცავად იძულებული გახდება გადაჭრით მოითხოვოს კონსტიტუციით დადგენილ მოვალეობათა განუხრელი შესრულება, რათა გადაარჩინოს სახელმწიფო დაშლას, ხოლო ხალხი — კატასტროფას.

შეეხო რა საერთაშორისო საკითხებს, ვ. იარუზელსკიმ თქვა: ომის დამთავრებიდან უკვე მრავალი წელი გავიდა. პოლონელთა რამდენიმე თაობა მშვიდობიან და უსაფრთხო პირობებში ცხოვრობს, რომლებიც მხოლოდ სოციალისტური შეგობრებისა და მოკავშირეების უშუალო მეზობლობამ მოგვიტანა. ეს მტკიცე რწმენა გვაშორებს — განსაკუთრებით შინაგანი კრიზისის პირობებში — ზრუნვას უშიშროებისა და მშვიდობისათვის.

არადა, საერთაშორისო ვითარება სულ უფრო მეტად გვაფიქრებს, და არცთუ უსაფუძვლოდ. უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით გაძლიერდა ომის საფრთხე. საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების სამშვიდობო ინიციატივებს უგულებელყოფენ. განიარაღების შესახებ მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. გრძელდება ნატოს ძალების ზრდა, ინტენსიურდება სამხედრო ინფრასტრუქტურა, მიმდინარეობს სამზადისი დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ახალ სახეობათა რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგებისათვის.

დღევანდელ მსოფლიოში საშიროების ყოველი კერა საფრთხეს გვიქადის, მაგრამ ყველაზე საშიში მაინც ის იქნება, რომ სწორედ ევროპაში დაირღვეს ძალების თანაფარდობა.

აქ გადის ორი საზოგადოებრივი სისტემის გამყოფი სამხედრო კონცენტრაციით უაღრესად მძაფრი საზღვრის ძირითადი მონაკვეთი. ერთი სიტყვით, ეს არის კონტინენტი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობის ბედისათვის.

სწორედ აქ, ამ ნეგრალიგიურ კვანძში აქვს მიჩენილი გეოსტრატეგიული ადგილი პოლონეთს. და ამიტომ, ძალების საერთო განაწილებაში მას თითქოს ორგვარი მნიშვნელობა ენიჭება. თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში არათუ ჩვენთვის, საერთოდ არავისთვის არ უნდა იყოს სულ ერთი ჩვენი საშინაო მდგომარეობა, ჩვენში შექმნილი ვითარება, ჩვენი ადგილი და როლი მსოფლიოსა და სოციალიზმის სისტემაში.

ამას ემსახურება სახალხო პოლონეთის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა, რომელიც არსებითად ეროვნული არსებობის პოლიტიკაა. პარტია და სახელმწიფო წამოჭრილი შინაგანი დეფორმაციების მიუხედავად ამ საკითხებში მუდამ ადგენენ და ადგანან სწორ გეზს, ამ პოლიტიკამ წარმატებით გაუძლო გამოცდას და უდავო წარმატება მოიპოვა. ჩვენ კვლავაც დავამკვიდრებთ და გავამდიდრებთ ამ წარმატებებს, კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ მშვიდობიან თანამშრომლობაში ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით. საჭიროა შევინარჩუნოთ ეს პოზიცია, რომლის უფლებასაც გვაძლევს ისტორია, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გაღებული წვლილი და მსხვერპლი, ჩვენი თანამედროვე პოტენციალი, აგრეთვე ჩვენი მრავალი სამშვიდობო ინიციატივა. არავის დავანებებთ პაიკად გაგვიხადოს ჭადრაკის დაფაზე. რაც უფრო მალე აღიდგენს პოლონეთი ძალებსა და ჯანმრთელობას, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება მისი ხმა საერთაშორისო საქმეებში.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ სერიოზულ, ღირსეულ და სანდო მოკავშირედ დავრჩებით. საბჭოეთთან კავშირი, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სოციალისტური ინტერნაციონალი კოალიციის წევრობა, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების კოლექტიური პოტენციალის შექმნასა და გამოყენებაში წვლილის შეტანა იყო, არის და იქნება ჩვენი თავდაცვითი დოქტრინის ფუნდამენტური პრინციპი. პოლონეთის ისტორიული შესაძლებლობა და დიდი მონაპოვარია ის, რომ მისი საარსებო მნიშვნელობის ეროვნული ამოცანა— საზღვრების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა სრულად შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სოციალისტური ინტერესების ერთიანობის მეშვეობით, მათი ინტერნაციონალური ხასიათის შემწეობით.

ჩვენ უპირველეს მნიშვნელობას ვანიჭებთ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და თანამებრძოლთა ძმობას. მათ მდიდარი და სახელოვანი ტრადიციები, შესანიშნავი აწმყო აქვთ. პოლონეთის ჯარის ბრძოლისუნარიანობის ზრდისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ ახალი ტიპის არმიის უნივერსალური პრინციპებით. შეგიძლია წარმატებით გამოვიყენოთ ჩვენი მეგობრების და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამოცდილება. ამასთანავე ჩვენ აქტიურად ვამუშავებთ საკუთარ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეესაბამება ეროვნულ ტრადიციებს და კონკრეტულ პირობებს, იცავს და ამდიდრებს პოლონეთის არმიისათვის დამახასიათებელ სტილსა და კოლორიტს.

თანამედროვე ძნელ პერიოდში ჩვენი შეიარაღებული ძალები არ შემდრკალან, შეინარჩუნეს დარაზმულობა და დისციპლინა, მზადყოფნა — დაიცვან სოციალისტური სამშობლო, მისი სოციალისტური მონაპოვარი.

არმია მძლავრი ძალაა, მაგრამ იგი ისწრაფვის და ყველაფერს ღონობს ემსახუროს ხალხს მის მშვიდობიან საქმეებში. ხალხი, პარტია ენდობიან თ ა ვ ი ნ თ არმიას, აფასებენ მის მხედრულ შრომას. ეს თქვა ამხანაგმა კანამ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში. ეს თქვეს თავიანთ გამოსვლებში დელეგატებმაც. ეს ბევრს ავალებს მეომრებს, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი არც ახლა გვიმტყუნებენ.

ჰარტიამ, სახალხო ხელისუფლებამ სოციალისტურ განახლებას, შეთანხმების გეზს ცდილი ნების დიდი კაპიტალი მოახმარეს. ისინი მუდამ მზად არიან ითანამშრომლონ საზოგადოებრივ ძალებთან, რომლებიც ხალხის კეთილდღეობას ესწრაფვიან სოციალისტური პოლონეთის ბაზაზე. ეს ეხება აგრეთვე „სოლიდარობას“, მის მილიონიან მასებს. იმედი გვაქვს, რომ ამ პროფკავშირში გაერთიანებული ჩვენი ამხანაგები იზრუნებენ მისი ნამდვილად პროფკავშირული მიმართულებისათვის და ამავე დროს უასუნოდ არ დატოვებენ პარტიისადმი მტრული, სოციალიზმისათვის დამღუპველი ექსტრემისტული ძალების გეგმებსა და მოქმედებას. არავითარი გაუგებრობა— ამ საკითხში, აქ ყველაფერი ცხადზე უცხადესი უნდა იყოს.

ვ. იარუზელსკიმ თქვა, რომ უდიდესი მეცადინეობაა საჭირო პოლონეთში სოციალიზმის დასაცავად, კრიზისის საკუთარი ძალებით დასაძლევად.

ჩვენ ვერ დავთმობთ და არც დავთმობთ სახალხო ხელისუფლებას, სოციალისტურ სახელმწიფო ხელისუფლებას. ამის თაობაზე არ უნდა იყოს არავითარი ილუზიები, არავეთარი ცბიცხლთან თამაში. ჩვენს ისტორიულ დროში მხოლოდ ასეთი ხელისუფლება უზრუნველყოფს ეროვნულ არსებობას სოციალიზმისა და სოციალისტური განახლების ბაზაზე, არსებობას სამართლიან საზღვრებში, უშიშროებისა და მშვიდობის გრძნობით. სწორედ ეს ღირებულებანი უნდა იყოს ურღვევი. პოლონეთი რომ პოლონეთად დარჩეს, დღეს იგი სოციალისტური პოლონეთი უნდა იყოს.

შესაძლოა, ყრილობა შემბრუნების პუნქტი გახდეს. იგი შესრულებას თავის ისტორიულ დანიშნულებას, თუ ჩვენი პარტიული პროგრამა ამ დარბაზიდან მიაღწევს ცნობიერებას და შეხედება საზოგადოებრიობის გაგებას. პარტიას აკრიტიკებენ, მაგრამ ამასთანავე მას იმედის თვალით შეჰყურებენ. მხოლოდ გაჯანსაღებულ, გამბტკიცებულ და ერთიანად შეკავშირებულ პარტიას, ისეთ პარტიას, რომელიც აღადგენს ხალხთან კავშირს, აღრმავებს თავის მარქსისტულ-ლენინურ ხასიათს, ხელეწიფება გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისიდან, უზრუნველყოს მისი შემდგომი წარმატებული წინსვლა-განვითარება.

ვ. იარუზელსკიმ თავისი გამოსვლის დასასრულს თქვა: წყდება პოლონეთის ბედი. უნდა ვიწამოთ, რომ ჩვენი პარტია მთლიანად აღადგენს თავის ხელმძღვანელ როლს, რომ ჩვენი ხალხი კიდევ ერთხელ გამოიჩენს ისტორიულად დადასტურებულ უნარს — პატრიოტული მობილიზაციის, საფრთხისადმი წინააღმდეგობის უნარს. ამთავითვე, ახლავე, ხვალიდანვე ჩვენ ყველანი ერთად შევუდგებით ყრილობის მიერ დასახულ გზას. მხოლოდ ამ გზას მივყავართ ხალხის ნათელი მომავლისაკენ, სოციალისტური პოლონეთის უკეთესი მერმისისაკენ.

IX ყრილობის დავალებით პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრდის ცვლილებათა მოსამზადებელმა კომისიამ წარმოადგინა თავისი წინადადებანი. წესდების პროექტი, რომელიც ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, საფუძვლად იღებს დემოკრატიის და დისციპლინის ლენინურ პრინციპებს, განაგრძობს პოლონეთის რევოლუციური მუშათა მოძრაობის ტრადიციებს, კვლავინდებურად ერთგულია პატრიოტიზმის და ინტერნაციონალიზმის იდეებისა, ითვალისწინებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოცდილებას, ასახავს პოლონეთში სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ პირობებსა და საჭიროებებს.

წინადადებებში განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, რომ საჭიროა პრაქტიკულად დაიცვან დემოკრატიული ცენტრალიზმი, როგორც პარტიის საქმიანობის მთავარი პრინციპი, რომელიც მისი იდეურ-პოლიტიკური ერთიანობის გარანტიაა.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობამ დამტკიცა ჰარტიის წესდების პროექტი და დაავალა ცენტრალურ კომიტეტს მოამზადოს წესდების სამოლოო რედაქცია. ყრილობამ მიიღო დადგენილება „სოციალისტური დემოკრატიის განვითარება და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა ჰარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცება სოციალიზმის მშენებლობაში და ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკ ო ნ ო მ ი კ ურ ი მდგომარეობის სტაბილიზაცია“, დადგენილება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პერესპექტიური პროგრამის შემუშავების შესახებ, აგრეთვე რეზოლუცია პოლონეთის მუშათა მოძრაობის მე-100 წლისთავისათვის. მიღებულია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX საგანგებო ყრილობის მიმართვა პოლონელი ხალხისადმი.

დასასრულ დელეგატთა წინაშე გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კანია, რომელმაც სახალხო სიტყვა წარმოთქვა.

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲗᲘᲡᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲒᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ს. კანიას საგოლო სიტყვა

ვარშავა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. კანიამ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX საგანგებო ყრილობის დასასრულ.

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲜᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲐᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲐᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ“

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ IX ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲑᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲙᲝᲚᲔ�გᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ს. ᲙᲐᲜᲘᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲦᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲩᲕᲔᲜ, ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ Ს. ᲙᲐᲜᲘᲐᲛ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲐᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲠᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒ

ცუდი ყანები არ არსებობს

საქართველოს მეურნეობებში დამთავრდა სათოხნი კულტურების ნათესების დათვალიერება. მის შედეგებს საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით განმარტავს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების სამმართველოს უფროსი ზ. ცქიბიშვილი:

მთლიანად სიტუაცია ძალზე რთულია. ხანგრძლივი წვიმების გამო გაჭიანურდა სიმინდის, სოიის, ლობიოს, მზესუმზირას, ბოსტნეული კულტურების თესვა.

ტენის სიჭარბემ გამოიწვია ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს მეურნეობებში დაზიანდა 5 ათას ჰექტარზე მეტი სიმინდის და 200 ჰექტარი სოიისა და თამბაქოს ნათესები. ახლა იწყება სიმინდის ხელახალი თესვა და მოვლა. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ იქ, სადაც აითვისეს სიმინდის თესვა-მოყვანის მოწინავე შეთოდები, სტიქიამ მეურნეობებს შესამჩნევი ზარალი ვერ მიაყენა. მაგალითად, ავიღოთ აბაშის, თელავის, წულუკიძის, წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებმაც დანერგეს ტექნიკის მაღალეფექტიან გამოყენებაზე დაფუძნებული სიმინდის მოყვანის ინდუსტრიული ტექნოლოგია. აქ ნათესები კარგ მდგომარეობაშია და, წინასწარი მონაცემები უხვ მოსავალს გვპირდება.

საყვედურს იმსახურებენ დუშეთის, ამბროლაურის, თიანეთის რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს ლობიოს თესვის დავალებას. ამ კულტურისათვის კი უფრო სერიოზული ყურადღება უნდა დაგვეთმო, ვინაიდან მისი წარმოება უკანასკნელ ხანს ჩვენში შემცირდა.

რაც შეეხება შაქრის ჭარხლის ნათესებს, ამ კულტურით დაკავებული სამი ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უფრო გულმოდგინე მოვლას საჭიროებს. და თუ კასპის, ხაშურისა და ქარელის რაიონებში პლანტაციებს აგროვადების შესაბამისად ამუშავებენ, სხვა რაიონების მეურნეობებში რატომღაც ამას ძალიან ნელა აწყობენ. პირველი და მეორე რწყვისათვის არ იყენებენ ჭარბ ტენს.

ორიოდე სიტყვა ბოსტნეულზე. მისი თესვის გეგმა დადაჭარბებით შესრულდა. ეს სასიხარულოა. საადრეო კარტოფილისგან გთავისუფლებულ 600 ჰექტარ ფართობზე ითესება ბოლოკი, სუფრის მწვანილი, ისპანახი, სხვა ბოსტნეული კულტურები. და როგორც ანალიზმა გვიჩვენა, მოსავალს, კერძოდ, ხახვის, კომბოსტოს, სუფრის ჭარხლის მოსავალს კარგი პირი უჩანს. დამაფიქრებელია საქმის ვითარება ცხინვალის, ლენინგორის რაიონებში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მეურნეობებში, სადაც ბოსტნეულის წარმოებაში შეიმჩნევა დიდი ჩამორჩენა შარშანდელთან შედარებით. დაირღვა ბოსტნეულის წარმოების ასორტიმენტი. (საქინფორმი).

„მე საქართველო გამზე ვიხილე...“

რამდენიმე აზრი ნია-გრუზინსკაიას და ქართველ გამელთა მომავალი საქმეების შესახებ.

„მე საქართველო გამზე ვიხილე...“ — ამ სტრიქონს ეგგენი ევტუშენკოს პოემიდან „ნაკაფი“ ახლა ცისარე დღე იმეორებენ ციმბირელები—ირკუტსკელები, იმეორებენ აღფრთოვანებული ინტონაციით, დიდი მადლიერების გრძნობით იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც მათ უკაცრიელ ტაიგაში ახალი დაბა აუშენეს, გიიყვანეს ათობით კილომეტრი მგგისტრალი, გარდაქმნეს ეს მკაცრი მხარე...

ნია-გრუზინსკაია ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დასავლეთი უბნის საუკეთესო დაბად ცნეს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიაზე წარადგინეს.

მშენებლები ჩქარობდნენ და დაბის პირველი — მთავარი რიგი სკკ XXVI ყრილობის მუშაობის დაწყების დღისათვის ჩაბარეს. ისინი ჩქარობდნენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ მალე დაბრუნებოდნენ მშობლიურ, თბილ მხარეს, არამედ კვლავ წასულიყვნენ იქ, სადაც ისინი უფრო საჭირო არიან, სადაც მათ ახალი საქმე ელოდათ.

ერთბაშად როდი იშვა „საქბამშენის“ სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კომკავშირელისა და ახალგაზრდობის ინიციატივა, რომელიც ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა: გადასხან ახალი დესანტი, იკისრონ ახალი დაბის, მაგისტრალის ახალი უბნის მშენებლობა.

აზრი პირველი: სკკ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. ი. მიროშნიკოვი: რა ვიცოდით ჩვენ, ციმბირელებმა, საქართველოსა და მისი ადამიანების შესახებ 1975 წლამდე? უნდა ვალიაროთ, ძალიან ცოტა რამ: ის, რომ ეს არის თბილი მხარე, რომ იქ ცხოვრობს მამაცი, გულღია ხალხი. და როდესაც პირველი ქართველი ამხანაგები ჩამოვიდნენ ბაიკალ-ამურის მშენებლობაზე, ჩვენ გულახდილად უნდა ვთქვა, გვეშინოდა ტაიგაში მათი მარტო გაშვება: 50 გრადუსამდე ყინვა ციმბირელისთვისაც კი სერიოზული გამოცდაა, აქ კი სამხრეთელები ჩამოვიდნენ. თითოეულ ახალ ჩამოსულს — ტყისმჭრელს, დურგალს, მემონტაჟეს ადგილობრივი მცხოვრები მივამაგრეთ. სამი დღის შემდეგ მეურვეებისაგან მივიღეთ პირველი ცნობა: მუშაობენ, და მერე როგორ, ცეცხლივით ბიჭები არიან! შემდეგ ახალი ცნობა: ადგილობრივ მშენებლებზე უარესად როდი ირჯებიან. ჩვენებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და რა ვნახეთ — თითქმის მუდამ ქართველი ბიჭები იმარჯვებდნენ...

აზრი მეორე: სკკ ირკუტსკის ოლქის უსტ-კუტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ა. პანჩუკოვი: ალბათ საჭირო არ არის იმის ახსნა, თუ რა მოუცელია პარტიული მუშაკი, მით უმეტეს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ზონაში. გულახდილად გეტყვით — არ მიყვარს ვიზიტიორები, რომლებიც აქ იმისთვის ჩამოდიან, რომ ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილონ და შემდეგ ამხანაგებთან დაიკვეხონ, ბამზე ვიყავიო.

ნიაში ამ მოგზაურობის დროს კი გულგრილი არავინ იყო... ბლოკნოტებს წუთითაც არავინ ხურავდა. რუსეთის ფედერაციის მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ნია-გრუზინსკაიაში ქართველ ბამელთა მოწონავე გამოცდილების გასაზიარებლად სემინარ-თათბირი მოაწყო. დიახ, აქ სასწავლი ბევრი რამ იყო, უწინარესად კი კეთილსინდისიერება.

აზრი მესამე: საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე მ. პ. კაკნაძე: ძნელი იქნება თუ არა ახალი დაბის მშენებლობის დაწყება? რა თქმა უნდა! ნიაზე ჩვენთვის არ გაუმზადებიათ სამუშაო ფრონტი, არ იყო გზები. ასევეა ახალ ადგილზეც, ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ.

„საქბამშენის“ ახალი მისამართია ჩიტის ოლქის ჩარის რაიონის მომავალი დაბა იკარბიე. ეს რაიონი იმდენად უკაცრიელია, რომ ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი მეირმეობის საბჭოთა მეურნეობა არსებობს, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვე ქვეყანაში აქ ყველაზე მცირეა. ნათელია, თუ როგორ ბიძგს მისცემს ამ მხარის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მაგისტრალი და ახალი დაბა 850 მოსახლისათვის. უკვე ჩვეულებრივად ქცეული სიტყვებს „პირველკვალავთა დესანტს“ მე მხოლოდ ერთ სიტყვას დავუმატებ — საპაერო. თავიდან ისინი მთლად უზრუნველყოფილი ვერ იქნებიან ყველაფრით, აქ ვერ მოვა დატვირთული ეშელონები, როგორც ეს ნიაზე იყო. იქნება ვერტმფრინავი, რომელიც პირდაპირ ნია-გრუზინსკაიადან იკარბიეში ჩაიყვანს ექვს პირველმკვალავს. დიახსომეთ მათი სახელები: ა. დვალიშვილი, ა. ლომიძე, რ. საყვარელიძე, ა. პრესკოვი, გ. თარხნიშვილი, შ. კაკუბაძე.

აზრი მეოთხე: სკკ ირკუტსკის ოლქის უსტ-კუტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ა. პანჩუკოვი: ალბათ საჭირო არ არის იმის ახსნა, თუ რა მოუცელია პარტიული მუშაკი, მით უმეტეს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ზონაში. გულახდილად გეტყვით — არ მიყვარს ვიზიტიორები, რომლებიც აქ იმისთვის ჩამოდიან, რომ ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილონ და შემდეგ ამხანაგებთან დაიკვეხონ, ბამზე ვიყავიო.

ნიაში ამ მოგზაურობის დროს კი გულგრილი არავინ იყო... ბლოკნოტებს წუთითაც არავინ ხურავდა. რუსეთის ფედერაციის მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ნია-გრუზინსკაიაში ქართველ ბამელთა მოწონავე გამოცდილების გასაზიარებლად სემინარ-თათბირი მოაწყო. დიახ, აქ სასწავლი ბევრი რამ იყო, უწინარესად კი კეთილსინდისიერება.

აზრი მესამე: საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე მ. პ. კაკნაძე: ძნელი იქნება თუ არა ახალი დაბის მშენებლობის დაწყება? რა თქმა უნდა! ნიაზე ჩვენთვის არ გაუმზადებიათ სამუშაო ფრონტი, არ იყო გზები. ასევეა ახალ ადგილზეც, ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ.

წინაპართა ნათელ ნაკვალევზე

14–20 ივლისი

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავის გამო

ყიზლარს რომ გამოვცდით, გზა თანდათან გაძნელდა. ჩრდილიანი ხე-ბუჩქების ნაცვლად ჭაობებმა და შამბნარმა იმატა.

ტასუმოვკას რაიონული ცენტრის სიახლოვეს, აკაციის ხის ქარსაცავ ზოლთან დავბანაკდით. საღამოთი არტეზიულ ჭას ვესტუმრეთ და ბანაობით ვიჯერეთ გული. შუაღამისას განვიმდა და ოდნავ აგრილდა. დილით კი კვლავ განვაგრძეთ გზა. ჩვენი დაუდგრომელი ექიმი ახლა მარათონში ცდის ბედს და ყოველდღე 10-15 კილომეტრზე ფეხით მიჰყვება. გზაშარას.

კოჩუბეი სტუმართმოყვარულად შეგვეგება. იქ მომუშავე ქართველებს გაზეთებიდან კარგად სცოდნიათ ექსპედიციის ამბები და დასახვედრად თადარიგიც დაუჭერიათ. ჩვენ „ქალაქ“ ივერიის სასტუმროში დაგვაბინავეს, ხოლო ცხენებს, საუკეთესო საძოვარზე მიუჩინეს ადგილი. მეორე დღე მთლიანად სამუშაოს მოვანდომეთ.

აქაურებთან ერთად უფრო დავაზუსტეთ გასავლელი მარშრუტი. როგორც თბილისშივე ვვარაუდობდით, ეს მონაკვეთი, მართლაც, ყველაზე რთულია, ამიტომ გასამგზავრებლად საღამოთივე დავიჭირეთ თადარიგი — მანქანები დავასუფთავეთ, ბენზინიც მოვიმარაგეთ და შემდეგ მასპინძლებთან ერთად იმ ადგილსაც ვეწვიეთ, სადაც უახლოესი ღამის გათევა მოგვიწევს.

დღეს დილით, 5 საათზე აიშალა ბანაკი. გამოვეშვიდობეთ გულთბილ მასპინძლებს და გზას გავუყევით. ყველანი თავს კარგად ვგრძნობთ.

უნაგირზე დაფერილი რეპორტაჟები

შეხვედრა ბრინჯის ყანებში

ანუ მცირე რამ მარინოვკაში მცხოვრებ ქართველებზე

მამაკაცისეულ მიწას რომ გასცდები, თვისტომს თუ მიაგენი, მასთან შეხვედრის ერთი წამიც დღესასწაულად გადაგექცევა ხოლმე. ყიზლარში დღესტნის დეტალურ რუკას რომ ვთვალიერებდით, ერთმა პატარა სოფელმა ვარსკვლავივით გამოანათა. „გრუზინსკოე“ — ასე გახლდათ აღნიშნული ეს დასახლება. ჰოდა, აბა, წარმოიდგინეთ, გული როგორ მოგვითმენდა, რომ იგი არ მოგვენახულებინა. ამიტომ ექსპედიციას ერთი მცირე ჯგუფი გამოეყო, მარშრუტიდან მკვეთრად გადაუხვია და პირდაპირ კასპის ზღვისაკენ აიღო გეზი.

გრუზინსკოეში, როგორც შემდეგ გამოირკვა, მარტო ერთი ქართული გვარის ოჯახი სახლობს. მისი თავკაცი ამავე სოფელში დაბადებული და გაზრდილი ვაჟკაცი ნიკალა ბურდული გახლავთ. ნიკალა მთელ ამ მხარეში ერთ-ერთ მოწინავე მექანიზატორად ითვლება და მის მიერ მოვლილ ბრინჯის ყანებს აუცილებლად გამოარჩევთ.

გრუზინსკოეში ჩასულებს ნიკალა, რა თქმა უნდა, შინ არ დაგვიხვდა, ყანაში იყო გასული, მაგრამ მეუღლემ და ქალაშვილმა გვანუგეშეს — გზას ჩვენ გასწავლითო, — და მანქანაში ჩაგვისხდნენ.

დატბორილი ბრინჯის ყანები მწვანედ ხასხასებდა. შორს, ჰორიზონტზე ტრაქტორის სილუეტი გამოჩნდა და მალე მისმა გუგუნმაც მოაწია. მოდიოდა ტრაქტორი და გზადაგზა ყელმოღერებულ წეროებს აფრთხობდა.

ცოტაც და ჩვენ წინ ზმით გარუჯული, ძლიერი აღნაგობის ახალგაზრდა კაცი იდგა. მის გამოხედვასა და მიხრა-მოხრაში იმთავითვე შევიცანით რაღაც მშობლიური. მივხვდით, რომ სწორედ ის გახლდათ ნიკალა ბურდული. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ცოლ-შვილთან ერთად მყოფი სპორტულად ჩაცმული სტუმრები დაგვინახა. ერთხანს ასე გვათვალიერებდა, მერე კი, ავტომანქანის სერიას რომ შეხედა, იაზრა, ვინც ვიყავით, გაგვიღიმა და დამტვრეული ქართულით მოგვესალმა — გაგიმარჯოთ!

უეცრად ფოტოაპარატმა გაიჩხაკუნა, კინოაპარატიც ამუშავდა და ნიკალა ჩვენს ტყვეობაში აღმოჩნდა.

— საქართველოში ზშირად თუ გიწვევთ ხოლმე ჩასვლა? — შეეკითხეთ ბურდულს.

— ყრმობის შემდეგ აღარ ყოფილვარ.

— აკი გვითხრეს, ნიკალა გრუზინსკოეში დაიბადაო?

— მართალი უთქვამთ. მაგრამ ყრმობის მცირე ნაწილი საქართველოში, სართიჭალაში გავატარე. საქმე ის არის, რომ დიდი სამამულო ომის წლებში მამაჩემი, აქ მცხოვრებ სხვა ქართველებთან ერთად, სართიჭალაში გადასახლდა საცხოვრებლად, ომის დამთავრების შემდეგ კი უკანვე გამობრუნდა.

— უკლებლივ ყველა გამობრუნდა საქართველოდან?

— არა, მხოლოდ მცირე ნაწილი.

— ახლა რასა იქმთ, საქართველოსაკენ ხომ არ მოგიწევთ გული?

— რა ვიცი, განა არ მიფიქრია? მაგრამ გადაწყვეტით ვერაფერი გადამწყვეტია: ვნახოთ, ვაკეშვილი რომ დამბრუნდება სამხედრო სამსახურიდან, მაშინ კიდევ ვიფიქრებ, მანამდე კი ხომ ხედავთ, ეს უზარმაზარი ყანა მაქვს მისახედი.

ბურდულთან საუბრისას გამოირკვა, რომ მისი და-ძმები იქვე მდებარე სოფელ მარიონოვკაში ცხოვრობდნენ. „ავიანთი ოჯახებით და ჩვენც ახლა ამ დასახლებისაკენ გავეშურეთ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მარიონოვკაში, ნიკალას და-ძმებთან ერთად, იქ მაცხოვრებელი სხვა ქართველებიც აღმოვაჩინეთ. წინათ ისინიც გრუზინსკოეში ცხოვრობდნენ თურმე, „შემდეგ კი აქეთ გადმოუნაცვლებიათ, შედარებით ნოყიერ და მოსახერხებელ ადგილზე.

როგორც სოფელ მარიონოვკის უხუცესმა მკვიდრმა, სოფლის საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ივანე ბუდნიკოვმა გვითხრა, ბუჩუკურები და ბალხამიშვილები, ბურდულები და წიკლაურები, ბეგოიძეები და ნარიმანიძეები დაახლოებით ამ სამოცდათხუთმეტი წლის წინათ წამოსულან საქართველოდან და აქ ადგილობრივი მემამულეებისაგან — ძმები ეზიერავებიანთ მიწას ნაკვეთები, როგორც ვარაუდობენ, მათი გადმოსახლების მიზეზი საეკონომიკო ბაკალობა და სიღატაკე იყო, თუმცა ამის კატეგორიულად მტკიცება შეუძლებელია.

როგორც ნ. ბურდულმა აღიარა, გრუზინსკოეში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილი საქართველოში, წითელწყაროსა და სართიჭალაში გადასახლებულა, იქიდან კი მხოლოდ თითო-ოროლა დაბრუნებია ნოყიერ ადგილს.

ეს ადგილი, ანუ ბრინჯის ყანები, ბევრ ადგილზეა. ზოგჯერ ერთ-ერთ ბაღ-ბოსტანს ან ბალახიანი ადგილი ეკავა, ზოგჯერ ბალახიანი ადგილი ბრინჯის ყანებად ქცეულა. ეს ადგილი ბევრ ადგილზეა. ზოგჯერ ერთ-ერთ ბაღ-ბოსტანს ან

მღელვარებით ველით შეხვედრებს

დღეს, 22 ივლისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი გასტროლებს იწყებს ქ. ბათუმში. ამასთან დაკავშირებით აი, რა უთხრა ჩვენს კორესპონდენტს ნ. სვანიშვილს თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზურაბ ანჯაფარიძემ.

— უკვე კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა მზიური აჭარის დედაქალაქ ბათუმში. და აი, კვლავ შევხვდებით აჭარელ მშრომელებს. ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში ტრადიციულად დიდი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის უკვდავი „დაისით“ ვიწყებთ გასტროლებს. დიდი მღელვარებით ველით ამ ახალ შეხვედრას. გვეიან აჭარელი მშრომელები, რომლებსაც მუდამ აინტერესებთ ის შემოქმედებითი პროცესები, ჩვენს თეატრში რომ ხდება. თეატრის კოლექტივი თავდადებით შრომობს რეპერტუარის გასამდიდრებლად. ამ მხრივ ნაშანდობლივია ბოლო ხანს დადგმული სპექტაკლები, რომლებიც განსაკუთრებით მოეწონათ რესპუბლიკის მშრომელებს. ეს არის ვერდის ოპერა —„ოტელო“ და ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, ბალეტები — მინკუსის „ლაურენსია“ და ამიროვის „ათას ერთი ღამე“.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეროვნული საოპერო მუსიკის განვითარების პროცესია. ქართულ კლასიკურ ოპერებს ღირსეულად ამოუდგა მხარში ბოლო დროს შექმნილი ოპერები — რ. ლაღიძის „ლელა“, ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“ და კომიკური ოპერა „პირველი სიყვარული“. ეს უკანასკნელი აღსავსეა საღი იუმორით, სიცოცხლითა და ხალისით. ბათუმელებს ვუჩვენებთ ჩვენი რეპერტუარის საუკეთესო სპექტაკლებს — ოპერებს „დაისს“, „ოტელოს“, „ტრავიატას“, „ქეთო და კოტეს“, „ტოსკას“, „ლელას“, „პირველ სიყვარულს“, ბალეტებს „გედის ტბას“, „დონ კიხოტს“, „ჟიზელს“, „შოპენიანას“, „კავალერიის შესვენებას“.

ამ დადგმებში მაყურებელი შეხვდება გამოჩენილ მომღერლებსა და ბალეტის მოცეკვავეებს: მ. ამირანაშვილს, ც. ტატიშვილს, ლ. ჭყონიას, ნ. ტუღუშს, ნ. მკერვალიძეს, ნ. ანდღულაძეს, ი. შუშანიას, ი. ჯანდიერს, ი. დოლაბერიძეს, ფ. სულაბერიძეს, თ. გურგენიძეს, ნ. გელაშვილს, ნ. ნადიბაიძეს, მ. ალექსიძეს, ნ. აორბელიძეს, ს. ტერეშჩენკოს... სახელოვან არტისტებს ღირსეულად უდგას მხარში ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელმაც დამტკიცა, რომ თეატრს საიმედო ცვლა ჰყავს. აი ისინიც: ლ. კალმახელიძე, ა. ხომერიკი, ჯ. მდივანი, ე. გეწაძე, თ. გუგუშვილი, მ. ეგაძე, ა. აბესაძე, ლ. ჩხიკვიშვილი, ნ. მაღლაშვილი, ვ. ჯულუხაძე და სხვები.

გარდა ბათუმისა, სპექტაკლებს ვუჩვენებთ უშუალოდ სამუშაო ადგილებზე, კოლმეურნეობებში, კლუბებში და კულტურის სახლებში. გაიმართება შეხვედრა-კონცერტები წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, მეზღვაურებთან, მოეწყობა საშეფო ღონისძიებანი მეომრებისათვის. გასტროლები დამთავრდება დასკვნითი კონცერტით 23 აგვისტოს. ასე რომ, ერთი თვის განმავლობაში აჭარელი მშრომელები გაეცნობიან დიდი ტრადიციების მქონე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შემოქმედებას და ეს ემთხვევა იმ საზეიმო განწყობილებას, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის ზეიმის შემდეგაც რომ გრძელდება. ჩვენი გასტროლებიც ამ ზეიმის გაგრძელებაა. ეს შემოქმედებითი ურთიერთობა მეგობრობისა და მშობის ის მყარი ხიდია, რომელიც მუსიკის საშუალებით მტკიცედ აკავშირებს ადამიანებს, აფაქიზებს და სილამაზეს მატებს ამ მეგობრობას.

ᲞᲔᲓᲘᲐᲢᲠᲔᲑᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲔᲜ

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲗᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲘᲧᲝ ᲓᲠᲝ, როცა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი დიპლომის დაცვისთანავე მიდიოდა სამუშაოდ. ახლა სხვა მდგომარეობაა, მომავალი ექიმების სწავლებისა და სპეციალიზაციის საქმე სულ უფრო უმჯობესდება. ჩვენს სამედიცინო ინსტიტუტში სტუდენტი არსებითად 7 წელიწადს სწავლობს. მეშვიდე წელი ეთმობა ინტერნატურას, ინტერნები თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მსხვილ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ხელმძღვანელობით იღრმავებენ ცოდნას.

პედიატრ-ინტერნთა მუშაობას ხელმძღვანელობს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრა (გამგე — პროფესორი ი. კვაჭაძე), ამ კათედრის ინიციატივით ყოველწლიურად იწყობა პედიატრ-ინტერნთა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელზეც ფაქტობრივად ჯამდება ინტერნთა განვლილი მუშაობა.

პედიატრ-ინტერნთა მორიგი, V რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ამას წინათ გაიმართა ბათუმში. იგი მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისა და ბავშვთა საგართაშორისო დღეს. კონფერენციის შემდეგ ბათუმის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში პროფესორმა ი. კვაჭაძემ, დოცენტმა ი. ციცაშვილმა და ამ სტრიქონების ავტორმა კონსულტაცია გაუწიეს მედპერსონალს და კითხვა-პასუხის საღამოც გამართეს.

თ. მარინაშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის ასისტენტი.

ᲫᲘᲔᲑᲐ

მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზებში თითქმის ორ თვეს გასტანა ერთობ ორიგინალური ხელწერის მქონე მხატვრის ოთარ ჩხარტიშვილის ნამუშევართა პერსონალურმა გამოფენამ.

გამოფენისადმი ინტერესს აძლიერებდა ოსტატურად შესრულებულ ნამუშევართა ფრავალფეროვნება. მხატვარს თანაბრად ხელეწიფება ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, კოლაჟი და შერეული ტექნიკური საშუალებათა გამოყენების ხელოვნება.

ოთარ ჩხარტიშვილი ერთგვარ ხარკს უხდის მოდერნისტულ მიმდინარეობას. შეიძლება მისმა ეგრეთ წოდებულმა „მეტაფიზიკური გრაფიკის“ სერიამ აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვიოს, მაგრამ ეს ნამუშევრები სხვადასხვა პრინციპების, შეხედულებების, თეორიების მექანიკური სინთეზი კი არ არის, არამედ მეტაფორების, სიმბოლოების, ალეგორიების თანამიმდევრული შეერწყმაა, გამომსახველობით საშუალებათა პოეტიკით საწყისის ძიებაა. ამის სამაგალითოდ გამოდგება ქალის კუთხოვანი, ხაზებადტეხილი პორტრეტი („ქალი ქალაქის ფონზე“), ეკოსისტემისა და ბიოსფეროს სიწმინდის შელახვას უძღვნა მხატვარმა ნამუშევარი „თევზის რეკვიემი“.

ოთარ ჩხარტიშვილის შემოქმედების ძირითადი თემა ჩვენი სინამდვილეა. ლირიკის პრიზმაში გარდატეხილი, მსუბუქ და ხალას იუმორთან შეზავებული მისი ხედვა, ნამუშევრების სადღეისო ყოფით ინტონაციებს ანიჭებს.

ერთ-ერთი ხერხი, მხატვრის კომპოზიციებს მკვეთრსა და საამოდ სახლეულს რომ ხდის, დისონანსთა თამაშია, რაც ყველაზე უკეთ შერეულ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების დროს იგრძნობა: სიგარეტის ნამწვი, გატეხილი ჭიქა, კონსერვის ქილა, ასანთის კოლოფი, დეფორმირებული საგნები თავისთავად არც ფასეულობას წარმოადგენს და ვერც იფიქრებთ, რომ ამ დისონანსური დეტალების შეტანით შესაძლებელია კომპოზიციის შეკვრა, ჰარმონიულობის მიღწევა, ამას კი იოლად ახერხებს მხატვარი ასოციაციურ წარმოდგენებზე დაყრდნობით.

ოთარ ჩხარტიშვილი არ გამოჯვნია ტრადიციულ ფერწერას, პირიქით, მას ეყრდნობა თავის შემოქმედებაში და ზოგჯერ სტილისტური და სიუჟეტური იდეების ეროვნულ ტრანსფორმაციას ახდენს. ამის თვალსაჩინო დასტურია ტრიპტიხი „ჩემი ოჯახი“, „სვანეთის ციკლი“ „ცხვრის ხორცი“ და სხვა.

ოთარ ჩხარტიშვილს გზა არჩეული აქვს, მიზნები — ნათელი, გამომხატველობითი ფორმები — ცხადი, და ისღა დაგვრჩენია ახალი წარმატებები ვუსურვოთ მხატვარს თავისი ესთეტიკური იდეალის ძიებასა და დამკვიდრებაში.

პ. აბაიშვილი.

სურათზე: მხატვარ ო. ჩხარტიშვილის საგამოფენო ნამუშევარი „ქალის პორტრეტი“.

ᲤᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲠ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ

ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ

ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ

ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის თაოსნობით სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ცნობილი დირიჟორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, პროფესორ ვახტანგ ფალიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საგუნდო მუსიკის საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სასწავლებლის დირექტორმა დოცენტმა ალ. მსხალაძემ, რომელმაც თბილად მოიხსენია ვ. ფალიაშვილის ღვაწლი სასწავლებლისა და საერთოდ საბჭოთა აჭარის სამუსიკო ხელოვნების განვითარებაში. ვ. ფალიაშვილის მრავალრიცხოვან ალზრდილთა სახელით სიტყვა წარმოთქვა სასწავლებლის პედაგოგმა დ. აბულაძემ.

კონცერტში მონაწილეობდნენ აჭარის დამსახურებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ორნანო“, მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდი, ქობულეთის რაიონის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ნარინჯი“, აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო განყოფილების ვაჟთა გუნდი, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლისა და სამუსიკო სასწავლებლის შერეული გუნდი. მათი შესრულებით დარბაზში ჟღერდა „შენ ხარ ვენახი“, „ინდი-მინდი“, „კვირიონ“, „ამბიო მეფე“, ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“, რ. ლაღიძის „მოაბიჯეს ოქტომბერი“, შ. მილორავას „ახალგაზრდული“, ი. კეჭაყმაძის „ჩვენი სკოლა“ და სხვ.

ბათუმში კიდევ ერთი კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: ვ. ფალიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საგუნდო მუსიკის საღამო ყოველწლიურად გაიმართება ხოლმე მაისში.

გ. ჩხაიძე.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ

საკონცერტო დარბაზში ადგილებს იკავებენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო და ზ. ფალიაშვილის პრემიების ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, პროფესორი ს. ცინცაძე, პიანისტი, ტოცენტი რ. გორელაშვილი, ქუთაისის მუსიკალური საზოგადოების წარმომადგენლები, ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელები, ზესტაფონის № 2 სამუსიკო სკოლის პედაგოგები, აღსაზრდელთა მშობლები.

მღელვარე წუთები ჰქონდათ ზესტაფონელ ნორჩ მუსიკოსებს. მათ ერთგვარი ანგარიში უნდა ჩაებარებინათ საპატიო აუდიტორიისათვის.

კონცერტზე შესრულდა ს. ცინცაძის 12 საფორტეპიანო პიესა „ტყის ბინადარნი“, მისივე პრელუდია, ბალეტ „დემონის“ თამარის ვარიაცია, „საჭიდაო“, კინოფილმების სიმღერები, დამსწრენი მოხიბლა მოსწავლეების შ. ჩუბინიძის, შ. ქარქაშაძის, ბ. ქასრაშვილის, მ. ნებიერიძის, ნ. კერესელიძის, ს. სალაძის, ი. კაშიას, ლ. ჭითანავას, მ. ბარბაქაძის, ლ. ცხადაძის, მ. ფხაკაძის, დების ლ. და ბ. მუშკუდიანების კარგმა საშემსრულებლო ოსტატობამ, რისთვისაც ქება დაიმსახურეს პედაგოგებმა და სკოლის დირექტორმა ე. კოვზრიიძემ.

სცენაზეა დოცენტი რ. გორელაშვილი. დარბაზში ჟღერს საყოველთაოდ აღიარებული „სულიკოს“ მელოდია, ტემპერამენტიანი „საჭიდაო“, ნარნარი „ჩემო ციცინათელა“, ომაბიანი „ცოლი გამიდიდგულდა“ და „მწყემსური“. კვარტეტისათვის ს. ცინცაძის მიერ დაწერილი ეს მინიატიურები თვით რ. გორელაშვილს გაღაუკეთებია ფორტეპიანოსათვის, რომელთაგან „მწყემსური“ პირველად შესრულდა ზესტაფონში.

შეხვედრა-კონცერტი კარგად ორგანიზებული ღონისძიება იყო. კონსერვატორიის ასეთი კავშირი სამუსიკო სკოლასთან უაღრესად სასარგებლო და ნაყოფიერია.

ო. ნიჟაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



ᲩᲕᲔᲜ უკვე ვიტყობინებოდით, რომ თბილისელებმა ტარიელ ყღენტმა და თამაზ იმნაიშვილმა ევროპის ჩემპიონატის მოსკოვში გამართულ მრგვალ სტენდზე სროლაში შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. ამას იმასაც დავუმატებთ, რომ თავდაპირველად ოთხმა — ტარიელ ყღენტმა, თამაზ იმნაიშვილმა, ავრეთვე საფრანგეთის წარმომადგენლებმა ჟორჟ პეტიპიემ და გიროშეტომ თანაბარი ქულები (197-197) დააგროვეს. პრიზიორთა ვინაობა დამატებითს სერიებში უნდა გარკვეულიყო. პირველი-მეორე ადგილებისათვის ბრძოლას შემორჩნენ ყღენტი და როშეტო. გაიმარჯვა ყღენტმა, როშეტო მეორე ადგილზე დარჩა. იმნაიშვილისა და პეტიპიეს პაექრობა მესამე ადგილისათვის ქართველი სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა რომ გუნდური პირველობაც მოიგო, მკითხველმა უკვე იცის. ამ გამარჯვებაში იმნაიშვილის წილია 148 ქულა, ყღენტისა — 147, ალმაათელი ს. მახვოროსტოვისა — 147 და ტალინელი პ. პიაკისა — 144 ქულა.

სურათებზე: ტ. ყღენტი (ზემოთ) და თ. იმნაიშვილი.

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ...

ლიტვის ქალაქებში ვილნიუსსა და კაუნასში გრძელდება მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადა.

ფეხბურთელებმა უკვე დაამთავრეს შეჯიბრება. აღსანიშნავია, რომ სპარიზო ადგილებისათვის ბრძოლაში რუსეთის ფედერაციის, საქართველოსა და უკრაინის ნაკრებმა გუნდებმა 6-6 ქულა დააგროვეს. ამასთან გუნდებს გატანილი და მიღებული ბურთების ერთნაირი სხვაობა აღმოაჩნდათ. ფინალურ ტურნირში ყველაზე მეტი — 7 ბურთი გატანილი აქვს რუსეთის ფედერაციის ნაკრებს და პირველი ადგილი მას მიეკუთვნა. საქართველოს ფეხბურთელები ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ, უკრაინელები — ბრინჯაოსას.

საქართველოს მძლეოსნებმა კიდევ ორი მედალი მოიპოვეს: გოგონათა შორის 200 მეტრზე რბენაში მ. აზარაშვილმა ვერცხლის მედალი მიიღო. მან ეს დისტანცია 24,56 წამში გაირბინა. 110 მეტრზე თარჯრბენში კი მესამე ადგილი დაიკავა ს. დილბაროვმა (15,6 წამი).

ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეებმა მორიგი ტურის მატჩი გამართეს ბელორუსებთან. ჯერჯერობით ანგარიშია 3:2 ბელორუსთა სასარგებლოდ. 3 პარტია გადაიდო.

ცხრა სახეობის სპორტში შეჯიბრებები უკვე დამთავრდა. საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა ასეთი შედეგები მოიპოვეს: თავისუფალ ჭიდაობაში — I ადგილი, ფეხბურთში — II, კლასიკურ ჭიდაობაში — VII, აკადემიურ ნიჩბოსნობაში — VII, წყალბურთში — VIII, სპორტულ ტანვარჯიშში — VIII. ფარიკაობაში — X, კალათბურთში — XI, ცურვაში — XI ადგილი. შეჯიბრებები გრძელდება 13 სახეობაში.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡ ᲘᲐᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲑᲣᲓᲐᲠᲔᲡᲢᲨᲘ დაწყებულ მსოფლიო უნივერსიადაზე უკვე გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები. საბჭოთა და რუმინელმა ტანმოვარჯიშეებმა — ვლადიმირელმა იური კოროლიოვმა და ბუქარესტელმა კურტ სილიერმა მრავალჭიდში 57,95-57,95 ქულა დააგროვეს და ორივე ოქროს მედალს დაეუფლა. 57,85 ქულით ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ერევნელ არტურ აკოპიანს.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

თანამედროვე ხუთჭიდი. მოსკოვში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში სამი სახეობის შემდეგ დაწინაურდა მოსკოველი ი. კოლუპანსკი — 3324 ქულა. **მას მხოლოდ 10 ქულით ჩამორჩება საქართველოს ნაკრების წევრი ი. ბრიზგალოვი.** მესამე ადგილზეა ვ. როგოვი (ბელორუსია) — 3188 ქულა.

სამბო. დონეცკის ოლქის ქალაქ გორლოვკაში დამთავრდა მოსწავლეთა პირველი საკავშირო შეჯიბრება. **ამ ახალგაზრდობაში თბილისელთაგან ორმა — შ. პაპანაშვილმა და ა. ხაჩიძემ პირველი ადგილები მოიპოვეს.**

აფრორსნობა. ტალინში მიმდინარე ბალტიის საერთაშორისო რეგატაში „ვარსკვლავის“ კლასის ნავით მოასპარეზეთა შორის ოთხი რბოლის შემდეგ **თბილისელი გ. ბიგანიშვილი მესამე ადგილზეა.**

ᲨᲐᲓᲠᲐᲯᲘ. ნიკოლაევში გრძელდება ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე მონაწილეობს. ცხრა ტურის შემდეგ 6,5-6,5 ქულით ლიდერობენ ტუკმაკოვი და ანიკაევი. **ჩიბურდანიძეს 5 ქულა აქვს.**

ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲝᲑᲘᲡ ქალაქ ლუბლინის მახლობლად მდებარე ხაბალენჩიკში დასასრულს მიუახლოვდა ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება. **ბოლო მეთერთმეტე ტურის წინ თბილისელ დავით ბედევანიშვილს და ლენინგრადელ ანდრია ლუკინს 7,5-7,5 ქულა აქვთ და ლიდერობენ.** მათ თითო ქულით ჩამორჩებიან ბულგარელი დიდოსტატი ნ. პადევსკი და პოლონელი ანჯეი ლუჩაკი.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

● **ᲔᲠᲗᲝᲒ** უჩვეულო „დანაშაულისათვის“ მიიღო ყვითელი ბარათი ბრაზილიის სამოყვარულო ლიგის ერთ-ერთი გუნდის მეკარემ რამონ ტოიამ. მისი გუნდი იგებდა მორიგ მატჩს ანგარიშით 14:0 და ვინაიდან ტოია უსაქმოდ იყო და საკმაოდაც მოსწყენდა, ორ ძელს შორის ჰამაკი დაამაგრა და შიგ ჩაწვა. ცხადია, მსაჯმა ეს არასპორტულ საქციელად მიიჩნია და „ძილის გუდას“ ყვითელი ბარათი ამოუღო.

● **ᲣᲑᲔᲨᲝᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲖᲐᲨᲘ** **მიაგნო ინგლისის ერთ-ერთი სამოყვარულო გუნდის „ჰემიკორდ ტერიერსის“ მწვრთნელმა: მის მოთამაშეებს მაისურზე მხიარული კარიკატურები ახატიათ. „როცა ჩვენი მეტოქეები ამ სახაცილო ნახატებს დაინახავენ, მაშინვე კარგ გუნებაზე დგებიან და წესიერად გვითამაშებენ“, — უპასუხა მწვრთნელმა გაკვირვებული ჟურნალისტის შეკითხვას.**

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 24 ივლისს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● ●

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ოპერის თეატრში აყოლერდა რეკვიზ ლაღიძის ოპერა „ლელა“, რომელიც დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზურაბ ანჯაფარიძემ.

ბერდიას პარტია შეასრულა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ლ. კანდელაკმა. დიდი მოწონება ხვდა ლელას შემსრულებელ ლ. ახალაძეს, რომელიც ვოკალურ მონაცემებთან ერთად კარგი სცენური გარეგნობითაც გამოირჩევა. მას კარგი პარტნიორობა გაუწია ა. ფხაკაძემ.

ახალი საოპერო დადგმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო, რაც შემოქმედებითი კოლექტივის წარმატებად უნდა მიეჩნიოთ.

პრემიერას დაესწრო კომპოზიტორი რეკვიზ ლაღიძე.

დ. გედენიძე.

ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ — ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ

სიმბოლურია, რომ დიდი საომარი ომის დაწყების მე-40 წლისთავის დღეებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ფრიად კეთილშობილური მისიით გვესტუმრნენ კარლ გიუნტერი და ჰაინც ბერგერი. ისინი მხატვრული ფილმის შესაქმნელად აგროვებენ მასალებს მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ბერტა ფონ ზიუტნერის შესახებ.

ბერტა ფონ ზიუტნერმა და მისმა მეუღლემ გუნდაკარმა თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში გაატარეს და აქ დაიწყეს თავიანთი სამწერლო მოღვაწეობა.

ბერტა ზიუტნერი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მწერალ ქალად. მას დაწერილი აქვს ბევრი პროზაული ნაწარმოები, რომელთა შორის მსოფლიო დიდება მოიპოვა რომანმა „ძირს იარაღი“. ეს რომანი თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები იყო. მან დაახლოებით ისეთივე გამოხმაურება და სენსაცია გამოიწვია, როგორც ერთ დროს ჟან ჟაკ რუსოს „ახალმა ელოიზამ“, გოეთეს „ვერტერმა“ ანდა რემარკის „დასაველეთის ფრონტი უცვლელია“. ეს სახელგანთქმული მწერალი ქალი ბედმა საქართველოსთან დააკავშირა. იგი ჯერ კიდევ საქართველოში გამომგზავრებამდე მრავალ ქართველს გაეცნო და დაუახლოვდა, განსაკუთრებით კი ჩვენი სახელოვანი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს ეკატერინეს და მის ოჯახს.

მწერალს დაწერილი აქვს საინტერესო მოგონებები. იგი სხვადასხვა დროს შეხვედრია თავისი ეპოქის ბევრ გამოჩენილ მოაზროვნეს, ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა XIX საუკუნის მიწურულის თითქმის ყველა სახელგანთქმულ პიროვნებასთან — ლევ ტოლსტოისთან და იბსენთან, ემილ ზოლასთან და ალფრედ ნობელთან, ალფონს დოდესთან და მარკ ტვენთან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბერტა ზიუტნერის მეგობრობა შვედ ინჟინერთან, შემდეგში სახელგანთქმულ ალფრედ ნობელთან. ბერტას თანამედროვენი აღნიშნავდნენ, რომ ამ მწერალმა ქალმა შთაგონა მას, რომ დაეწყვეტინებინა პრემია მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ბერტა ფონ ზიუტნერის „მემუარებში“ დიდი ადგილი უჭირავს ქართველებს და საქართველოს. მან და მისმა მეუღლემ აქ 9 წელიწადს (1876-1885 წლები) იცხოვრეს. ისინი ონნი მეუნარგიანთან ერთად გატაცებით თარგმნიდნენ „ვეფხისტყაოსანს“ ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

მწერალს ფასდაუდებელი წვლილი აქვს შეტანილი არა მარტო გერმანიის, არამედ მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობის საქმეში. იგი თითქმის ყველა საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესისა და კონფერენციის მონაწილე იყო, რომლებზეც გამოდიოდა მგზნებარე ანტიმილიტარისტული სიტყვებითა და მოხსენებებით, მშვიდობის ეს ენთუზიასტი გამოსცემდა სპეციალურ ჟურნალს. მახვილგონივრულად შენიშნავდა ალფრედ ნობელი ბერტასადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში: „ბერტამ ომი გამოუცხადა ომს და იარაღსო“.

დღეს, როცა მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება ყველა ხალხის უმთავრესი და სასიცოცხლო მოთხოვნილებაა, მადლიერების გრძნობით ვიგონებთ ავსტრიელ მწერალს, რომელმაც თითქმის მთელი სიცოცხლე ამ კეთილშობილური საქმისათვის ბრძოლას შესწირა.

ჩვენმა გერმანელმა სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს თბილისი, ფოთი, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი, სადაც ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა უხდებოდათ ბერტასა და მის მეუღლეს და კმაყოფილნი გაემგზავრნენ სამშობლოში.

ალბათ, მალე ვნახავთ კინოფილმს მშვიდობის თემაზე, რომელიც ბერლინის კინოსტუდიის შეკვეთით მზადდება და რომლის სიუჟეტური ქარგის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს დაეთმობა.

გ. მეფისაშვილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲡᲞᲘᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ 1981 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

I. ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲣᲔᲢᲘᲗ:

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

გეომეტრია და ტოპოლოგია.

ნ. მუხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრი

გამოთვლითი მათემატიკა.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკის ინსტიტუტი

ატომგულისა და ელემენტური ნაწილაკების ფიზიკა; ბიოფიზიკა; პლაზმის ფიზიკა და ქიმია (მიზნობრივი ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის).

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია. (რეგიონალური გეოგრაფიის განხრით).

ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორი

საინჟინრო გეოლოგია, გამყინვარებათმცოდნეობა და გრუნტმცოდნეობა.

კიბერნეტიკის ინსტიტუტი

ბიოლოგიური და სამედიცინო კიბერნეტიკა.

სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი

სამშენებლო კონსტრუქციები: სამშენებლო მასალები და ნაკეთობანი (სამი ადგილი — 2 მიზნობრივი — საქართველოს სსრ მთავარ ბაგირგზების სამმართველოსათვის და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროსათვის).

მართვის სისტემების ინსტიტუტი

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

სსრ კავშირის ისტორია.

II. ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲣᲔᲢᲘᲗ:

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

დიფერენციალურ განტოლებათა და მათემატიკური ფიზიკა.

ნ. მუხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრი

გამოთვლითი მანქანათა და სისტემათა მათემატიკური უზრუნველყოფა.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკის ინსტიტუტი

ექსპერიმენტული ფიზიკა; ატომგულისა და ელემენტური ნაწილაკების ფიზიკა; ბიოფიზიკა.

ალბათობანის ასტროფიზიკური ობსერვატორია

ასტროფიზიკა.

გეოფიზიკის ინსტიტუტი.

გეოფიზიკა (4 ადგილი)

ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტი

გეოტექტონიკა; მადნეულ და არამადნეულ სასარგებლო წიაღისეულთა ძებნა-ძიება, გეოლოგია (2 ადგილი. 1 მიზნობრივი — საქართველოს სსრ გეოლოგიური სამართველოსათვის).

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

გეომორფოლოგია და პალეოგეოგრაფია.

კიბერნეტიკის ინსტიტუტი

რადიოფიზიკა, კვანტური რადიოფიზიკის ჩათვლით; ტექნიკური კიბერნეტიკა და ინფორმაციის თეორია (2 ადგილი); ბიოლოგიური და სამედიცინო კიბერნეტიკა (2 ადგილი).

სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი

სამშენებლო მექანიკა; სამშენებლო კონსტრუქციები; სამშენებლო მასალები და ნაკეთობანი (მიზნობრივი — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობ